ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის იურიდიული საქალაქო
სამსახურის საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილება

KA010125999275116

№17/3752

11 / იანვარი / **2016** წ.

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია "
მის: თბილისი მიცკევიჩის 27

2016 წლის 28 დეკემბრის N123007/11 (N583) განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამსახურის მიერ 2014-2015 წლებში მთლიანობაში დაირგო 480 200 ძირი ხე-მცენარე, საიდანაც შესყიდულია 452 190 ერთეული ნერგი, ხოლო დანარჩენი მიღებულია საჩუქრად სხვადასხვა კომპანიების მიერ. ნერგების უმრავლესი ნაწილი დაირგო თბილისის დენდროლოგიური პარკისა და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. რაც შეეხება 2016 წლის განმავლობაში დაგეგმილ რგვებს, დღეის მდგომარეობით სამსახურს დაგეგმილი აქვს 180 000ძირი ხე-მცენარის დარგვა, რომლისთვისაც 900 000 ლარია გათვალისწინებული. რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენი ხეა თბილისში და როდის ჩატარდა ბოლო აღწერა, მოგახსენებთ, რომ ასეთი ინფორმაცია დღეის მდგომარეობით დაზუსტებული არ არის, ვინაიდან აღწერა არ მომხდარა 80-იანი წლების შემდგომ და შესაბამისად ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის არსებობის პერიოდში არ განხორციელებულა აღნიშნული. თუ რა ზომის უნდა იყოს დასარგავი ნერგი? რა არის მისი ღირებულება? რამდენმა გაიხარა დარგული ხეებიდან პროცენტულად? როდის გამოცხადდა ტენდერი და როდის გაფორმდა ხელშეკრულება? რას ითვალისწინებს ხელშეკრულება? მხოლოდ ხეების დარგვას თუ მის შემდგომ მოვლას? ხორციელდება თუ არა დარგული ხეების მონიტორინგი? - ყველა ეს საკითხი მითითებულია თითოეულ ხელშეკრულებაში, რომელთა ასლებიც გადმოგეცემათ წერილთან ერთად. რაც შეეხება კითხვას, როგორია გამწვანების კოიფიციენტი თბილისში? ამის თქმა დაზუსტებით შეუძლებელია, ვინაიდან როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ მწვანე საფარის ინვენტარიზაცია არ მომხდარა 1988 წლის შემდგომ, ხოლო მსოფლიო სტანდარტი არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნული დამოკიდებულია კონკრეტული ქალაქის რელიეფურ მდგომარეობაზე და არსებულ გარემოპირობებზე, რა დროსაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის რაოდენობაც.

დანართის სახით გიგზავნით, თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

დანართი: 218 ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და
ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის

ილია გელაშვილი

მიმწოდებელი	სახეობა	რაოდენობა	ხელშეკრულების #	თარიღი
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	კავკასიური ცაცხვი	3000	3.1/30/757	02.11.2015
შ.პ.ს ჭადარი	მინდვრის ნეკერჩხალი	4750	3.1/30/769	06.11.2015
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	ჩვეულებრივი იფანი	4750	3.1/30/768	06.11.2015
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	ელდარის ფიჭვი	8500	3.1/30/739	23.10.2015
შ.პ.ს ნაკადული	ჩვეულებრივი ცაცხვი	8200	3.1/30/730	21.10.2015
შ.პ.ს დელტა ფლორა	ჰიმალაის კედარი	5000	3.1/30/677	13.102015
შ.პ.ს დელტა ფლორა	კავკასიური აკაკი	5000	3.1/30/679	13.10.2015
შ.პ.ს დელტა ფლორა	კავკასიური აკაკი	8000	3.1/30/678	13.10.2015
შ.პ.ს ალავერდი	ჩვეულებრივი იფანი	9000	3.1/30/158	19.03.2015
შ.პ.ს მწვანე თბილისი	მინდვრის ნეკერჩხალი	9000	3.1/30/155	19.03.2015
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	მარადმწვანე კვიპაროსი	7000	3.1/30/157	19.03.2015
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	ელდარის ფიჭვი	8000	3.1/30/156	19.03.2015
ინდ. მეწარმე ,,[redacted]	კვიპარ, კედარი, ელ. ფიჭვი, ნეკერჩ, იფანი, ცაცხვი,აკაკი	1500	3.1/30/452	17.12.2014
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	ელდარის ფიჭვი	2310	3.1/30/347	03.11.2014
ინდ. მეწარმე ,,[redacted]	ჩვეულებრივი იფანი	1900	3.1/30/358	10.11.2014
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	ჩვეულებრივი ცაცხვი	3600	3.1/30/360	10.11.2014
ინდ. მეწარმე ,,[redacted]	მინდვრის ნეკერჩხალი	2000	3.1/30/359	10.11.2014
შ.პ.ს მინის სამყარო	ჰიმალაის კედარი	6010	3.1/30/349	04.11.2014
შ.პ.ს საქართველოს ნერგები	მარადმწვანე კვიპაროსი	2900	3.1/30/348	03.11.2014
სსიპ ,,ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა"	საპნის ხე	2350	3.1/30/288	11.05.2015

	მუხა ჭალის	1100		
	იფანი ჩვეულებრივი	800		
სსიპ ,,ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა"	ფშატი, იფანი,აკაკი,პანტა,ნუში	57000	3.1/10/908	11.12.2015
სსიპ ,,ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა"	ნუში,მუხა ქართული,მუხა ჭალის, იფანი	21420	3.1/10/103	
სსიპ ,,ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა"		269100	3.1/10/608	15.09.2015
		452190		